ესე მოსცა დაუნჯებად თჳსსა ეკლესიასა პირველად ყუავილნი იგი სულნელნი მისნი მოციქულნი მოწამენი. მერმე ნაშრომნი იგი მათნი ნაყოფნი კეთილთა საქმეთანი. რომლისა-გან იშუებს მარადის და იხარებს ეკლესიაჲ : საყუარელნო, დღეს მოციქულნი განძლიერდებიან და მოწამენი გამოჩნდებიან. დღეს წინაჲსწარმეტყუელნი იგი მოკლულნი სახე იქმნებიან და მარტჳლნი წარმოდგებიან. დღეს ოჳფალი ჯუარსა თჳსსა უჩუენებს და მოღუაწენი გამოჩნდებიან რჩევით. დღეს საფუძველი ახალი დაიდების ეკლესიათა და ვითარცა ლოდნი მყარნი კლდისა მის-გან ქრისტჱსისა გამოკუეთილნი * კამარათა შორის * 25 v.
ეკლესიათა განშუენდებიან ქრისტჱს მოღუაწენი. დღეს წინაჲსწარმეტყუელებაჲ იგი დავითისი და ესაიაჲსი აღესრულებიან. რაჲმეთუ ზღუდენი ახალნი გარემო-ემჱნებიან იჱრუსალემსა. რომლისა ქვანი მისნი ქვათა მათ-გან საფირონისათა : ესე არიან წმიდანი მოციქულნი და მარტჳლნი :

tel des cieux, la fleur fraîche du paradis nouveau, non du premier paradis qui est resté inculte par suite de la désobéissance, mais de celui qui fut cultivé par les prêcheurs dociles de l'Évangile du Christ et poussa magnifiquement et devint fécond.

Car le grain de froment pur n'est pas tombé en vain sur la terre, il n'est pas mort en vain, mais conformément à ce qu'il avait dit, il est mort pour produire plus de fruits.

Il a donné à son église pour garder comme un trésor premièrement les apôtres confesseurs, ces fleurs odoriférantes ; en second lieu leurs œuvres, les bons fruits de leurs actes dans lesquels l'Église trouve toujours ses délices et sa réjouissance. Bien-aimés, aujourd'hui les apôtres acquièrent de la puissance et les confesseurs apparaissent ; aujourd'hui les prophètes tués deviennent des exemples, et les martyrs triomphent. Aujourd'hui le Seigneur révèle sa croix et les combattants de choix apparaissent. Aujourd'hui le fondement nouveau des églises s'établit et les combattants du Christ découvrent leur beauté aux voûtes des églises comme les pierres fermes taillées dans le rocher du Christ. Aujourd'hui s'accomplissent la prophétie de David et celle d'Isaïe, car autour de Jérusalem s'érigent des murailles nouvelles, dont les pierres sont des pierres précieuses, des saphirs : ce sont les saints apôtres et martyrs.

რამეთუ ძუელისა მის შჯულისა ზღუდენი დაეცნეს და ახლისა მადლისა ქრისტჱს სახარებისა ეკლესიანი ზღუდედ გარემოადგან იერუსალჱმსა : დღეს მორწმუნენი განმრავლდებიან და კრებული მოციქულთაჲ გჳრგჳნოსან იქმნების. დღეს ქრისტჱს სახარებისა ქადაგნი განძლიერდებიან და ძუელისა მის შჯულისა მსახურნი მოუძლურდებიან : ცხოვარნი წარწყმედულნი სახლისა ისრაჱლისანი ბაკისა მის-გან ოჳფლისა თჳსისა გარე განჭტოლვილნი თავით თჳსით მჴეცთ შესაჭმელ ქმნულნი შემცირდებიან. არვენი წარმართთანი ველურნი აღავსებენ ბაკსა მას მჴეცთ შეუვალსა : ძენი იგი წინაჲსწარმეტყუელთანი შჯულის-მდებელნი ღმრთის-მოვალე იქმნებიან. ქედფიცხელნი იგი და გულფი-ცხელნი და წინადაცუეთილნი და დაუცუეთელნი გულითა და საშუმინველითა ანტაკრად აღუდგებიან სულსა წმიდასა :

და მდაბალნი სულითა ქედდადრეკით ნათელღებულნი წყლითა და სულითა წმიდითა განბრწყინვებიან : დღეს მოციქულთაჲ იგი გჳრგჳნნი სახელისანი
* 26 r. საქმით ქრისტემან დაადგნა თავსა-ზედა ეკლესიათასა. *ესე არს სტეფანე სახელით ნანდჳლ სახელშემსგავსებულ გჳრგჳნ შუენიერებისა მადლი ჴელსა ოჳფლისასა :

სტეფანე გუნდისა მის-გან მოციქულთაჲსა ერთი სამეოც და ათთა-განი და შჳდთა მათ დიაკონთა მთავარი. ქრისტჱს-მოწაფეთა შოვრის ახოვანი. მოწამეთა თავი. მარტჳლთა ერის-თავი. მოღუაწეთა წინამძღუარი და პირველ მთქრჱ

Car les murailles de la loi ancienne se sont écroulées et les églises de la grâce nouvelle, Évangile du Christ, entourent Jérusalem comme d'une muraille. Aujourd'hui, les croyants se multiplient et l'assemblée des apôtres est couronnée. Aujourd'hui les prédicateurs de l'Évangile du Christ se fortifient et les serviteurs de la loi ancienne s'affaiblissent. Les agneaux perdus de la maison d'Israël qui s'étaient enfuis de la cour de leur Seigneur, devenus de leur gré la proie des bêtes sauvages, diminuent de nombre et les troupeaux sauvages des païens remplissent une cour inaccessible aux bêtes. Les fils des prophètes législateurs deviennent les débiteurs de Dieu, les obstinés à cœur dur, incirconcis et circoncis, se soulèvent contre l'Esprit-Saint en adversaires de cœur et d'âme. Les pauvres d'esprit resplendissent, courbant leurs têtes et recevant la lumière du baptême par l'eau et par l'esprit. Le Christ a mis aujourd'hui sur la tête des églises les couronnes des apôtres, celles de faits célèbres.

Étienne est en vérité la couronne conformément à son nom, la grâce de la beauté aux mains du Seigneur.

Étienne, de l'assemblée des apôtres, un des soixante-dix, qui s'avance à la tête des sept diacres, est le champion parmi les élèves du Christ, le plus grand des confesseurs, prince des martyrs, chef des combattants, précurseur

ასპარეზსა მას მჴნეთასა და უმალჱსისა მის ძლევისა მნისა მიმღებელი. ქუეყანისა დიაკონი და ზეცისა მჴედარი. სოფლისა ამის ანგელოზი და ზესკნელს ცათა კაცი :

სტეფანჱ შუენიერი. სახელისა უფროჲს საქმენი. სიმშჳდით და სიწმიდით დიაკონ და სარწმუნოებით ქრისტჱს ქადაგ. რჩეულებით მოციქულ და ქრისტჱს მჴედართა ერის-თავ და დიდისა მეუფისა სპასპეტ და ზეცისა საკურთხეველისა მსახურ : ვინ ესოდენ დიდებისა ღირს იქმნა. ვითარ შენ, ყოვლად-ქებულო მოწამეთა შორის და პირველ ჩინებულო დიაკონთა შორის, ვერ ვის ვჰპოვებთ მსგავსსა შენსა :

ო სანატრელო სტეფანე. ვინ კაცთა-განი პირველად ვინ იხილა ხატითა ანგელოზისაჲთა და მწრაფლ მი-ხოლო-ეწია დადგომად განწყობილთა მათ შორის დასეულთა : მთავარო დიაკონთაო და მთავარო მოწამეთა შორის : ანგელოზთა უმთავრჱსო გჳრგჳნოსანო. ქუეყანასა-ზედა დიდებულო და ზეცას პატივცემულო : ზეცისა იგი სამკჳდრებელი ქრისტჱს-მიერ განმზადებული აღუძრველადი თუალითა იხილა და მეყსა მკჳდრ ხოლო იქმნა :

* წესვე ესრე იყო. საცნაურისა მის საკურთხეველისა წმიდად და უბიწოდ * 26 v
მსახური რაჲთა ზეცისა მას ზემთა საკურთხეველისა სულიერსა წმიდასა მას წმიდათასა ბრწყინვალედ წარდგეს მსახურად სულიერად სულიერთა მათთა

de lutte sur la lice des vaillants et emportant le prix de la plus prompte victoire, diacre de la terre et chevalier du ciel, ange de ce monde et homme au plus haut des cieux.

Étienne le beau, aux œuvres surpassant son nom, diacre par modestie et sainteté, prédicateur du Christ par foi, apôtre par choix, prince des chevaliers du Christ, chef de l'armée du grand Roi et serviteur de l'autel céleste. Qui est digne de la gloire à un si haut degré, comme tu l'es, toi, le plus loué parmi les martyrs et le plus distingué parmi les diacres? Nous ne trouvons personne de semblable à toi.

O Étienne bienheureux, qui des êtres humains apparus premièrement sous l'image d'un ange et parvins aussitôt à prendre place au front de la bataille.

Chef des diacres et chef parmi les martyrs, ô toi, le premier couronné parmi les anges, glorifié sur la terre et honoré au ciel.

Il a vu de ses yeux l'héritage céleste immuable préparé par le Christ et il en hérita à l'instant.

C'était donc l'ordre afin que le serviteur saint et irréprochable de l'autel bien connu s'avançât d'une manière splendide au sanctuaire spirituel de l'autel céleste d'en haut en qualité de serviteur spirituel des [...] spirituels [...].

[ ] ვერთა [ ] იყო აღსრულებად სიტყუაჲ იგი მაცხოვრისაჲ : რომელმან თქუა ვითარმედ « სადაცა მე ვიყო. მუნცა მსახური იგი ჩემი იყოს ». ბრწყინვალეო სულითა და ბრწყინვალეო ჴორცითა. ვითარ აღისწრაფე ზეცისა კამარათა წარდგომად საღმრთოსა მას ტაბლასა. ვინაჲ იგი არა ჴორცსა და სისხლსა ძისა ღმრთისასა განუყოფ ქრისტჱს-მორწმუნეთა. არამედ მეოხებაჲ და წყალობაჲ და მადლი განეყოფვის შენ-გამო ღმრთის-მოყუარეთა სულითა დაკლულისა მის-გან და ცხოველისა ქრისტჱსისა. რომელმანცა ღირსად გჳრგჳნოსან გყო შენ :

ხოლო ქვითა განტჳნვასა მას შენსა უღმრთოთა მათ ჰურიათა-მიერ უსწრო და გიჩუენა შენ მამისა-თანა სუფევაჲ თჳსი მაღალთა-შინა : მოსე და სხუანი წინაჲსწარმეტყუელნი ხილვასა მას და გამოცხადებასა ღმრთისასა ქუეყანასა-ზედა თუალთა წინაშე ვერ ღირს იქმნნეს. ხილვად დიდებასა მას და საშინე-ლებასა ღმრთეებისა ცეცხლსა ნაპრალთა მთათასა დაიმალვოდა :

ხოლო შენ, ნათლისა ანგელოზთა ხატო, ქუეყანით ესოდენნი ჰაერნი გან-ხეთქენ და სიმძაფრენი ქართანი განაპენ. მწყობრებაჲ ვარსკულავთაჲ და
* 27 r. * სიჴშოებაჲ ღრუბელთაჲ განგევლტოდა თუალთა-გან შენთა. ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი განაპენ :

მთავრობათა და ჴელმწიფებათა, ზეცისა ძალთა, გარეწარჰჴედ და მუნ განიცადე. სტეფანე. სეფჱ იგი ბუნებაჲ. გამოუთქუმელი სუფევაჲ. მიუწდომელი

Ainsi devait s'accomplir cette parole du Sauveur : « Où je serai, là aussi sera mon serviteur ». O toi, brillant par le corps et brillant par l'esprit, comment es-tu arrivé si promptement à la table divine au-dessus des voûtes du ciel, où tu ne partages pas le corps et le sang du Fils de Dieu, mais par ton intercession les faveurs et les grâces sont distribuées à ceux qui aiment Dieu de toute leur âme par le Christ supplicié et vivant, lequel t'a couronné dignement !

Avant que les Juifs impies te broyassent de pierres, Jésus-Christ s'empressa de te montrer son règne avec le Père au plus haut des cieux. Moïse et les autres prophètes n'étaient pas dignes de voir de leurs propres yeux Dieu leur apparaître sur la terre, et lui, Moïse, incapable de voir le Dieu terrible et Sa gloire, ce feu, se cachait dans la fente de la montagne.

Or toi, image des anges de lumière, tu as de la terre au ciel fendu tant d'air et tu as rompu la vigueur des vents. Des rangées d'astres et d'épais nuages s'enfuyaient devant tes yeux. Tu as fendu les cieux des cieux et les eaux des cieux supérieurs.

Tu as passé près des autorités et des puissances, armées du ciel ; tu y as vu, ô Étienne, la nature propre, essence ineffable, puissance incompréhen-

იგი გელმწიფებაჲ. საშინელი იგი საკჳრველი მყოფებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ : სთქუ და უწამებდ ურწმუნოთა მათ ვითარმედ « აჰა ესერა ვხედავ მე ცათა განხუმულთა და ძესა კაცისასა მარჯუენით ღმრთისა » :

ამის-თჳსცა ქვასა დაგკრებდეს შენ ნეტრეულო ჭეშმარიტისა ღმრთისა დიაკონო და ქრისტჱს ღმრთისა შენისა ქადაგო : ვინმე შეუძლოს ქებად შენდა, მჴნეო და წარჩინებულო ერის-თავთა მთავარო? ყოველნიღა თუ ენანი შეკრბენ, ვერ შეუძლონ ღირსად ქებად, სტეფანე, გჳრგჳნ ანგელოზთა სახეო. და მათ-თანა ქრისტჱს მსახურო. ღმრთივ ბრწყინვალენი იგი თუალნი შენნი ვითარ მძლე ექმნნეს ალსა მას საშინელსა, ცეცხლისა ნივთსა, მზის-თუალისა საგუ-მილსა?

რამეთუ ვერ დააბრკოლნეს თუალნი შენნი მცხინვარებამან მზისამან. არამედ ვითარცა სარკესა-შინა. ეგრე ცათა-შინა იხილე მეუფჱ იგი. ჰგონებდეს უშჯულონი იგი მკლველნი შენნი წარწყმედასა შენსა ქუეყანით და არა უწყოდეს. რამეთუ ზეცას ჯუარცუმულისა-თანა აღგიყ*ვანეს ქვადაკრებული ეგე. რომელი იერუსალემისა მის-გან გამოგითრიეს უმკჳდრო ყოფად ზეცისა იერუსალემსა ბევრეულთა ანგელოზთა კრებულსა მოქალაქედ გამოგა-ჩინეს შენ : * 27 v.

არა თუ რიცხუსა მას მოციქულთასა დააკლდი. არამედ აღსლვისა-თჳს მათისა ზეცად პირველმოციქულთა კიბე იქმენ და ყოველთა შემდგომთა შენთა მარ-

sible, existence effroyable et merveilleuse du Père et du Fils et de l'Esprit Saint. Tu as dit et témoigné aux incroyants : « Voici donc, je vois les cieux ouverts et le Fils de l'homme à la droite de Dieu ».

C'est à cause de cela qu'on t'a lapidé, toi, diacre bienheureux du Dieu vrai et prédicateur du Christ ton Dieu. Qui serait en état de te louer, toi, prince des chefs de l'armée, vaillant et distingué? Si toutes les langues se réunissaient, elles ne seraient pas à même de te louer dignement, toi, Étienne, couronne, modèle des anges et avec eux du Christ. Comment tes yeux brillants par la grâce de Dieu supporteront-ils la flamme effroyable, la matière de feu, le brasier du soleil?

Car la lumière éclatante du soleil n'a guère ébloui tes yeux; au contraire, tu as vu le roi des cieux, comme dans un miroir. Tes meurtriers impies songeaient à t'arracher de cette terre et ils ne savaient pas qu'ils t'avaient conduit, toi, lapidé, au ciel près du crucifié. Toi, qu'ils ont expulsé de Jérusalem pour t'enlever tout abri, tu es citoyen de Jérusalem céleste à l'assemblée des myriades d'anges, c'est ce qu'ils ont révélé eux-mêmes.

Non pas que tu eusses manqué à être au nombre des apôtres, mais tu es devenu le degré par lequel les premiers apôtres sont montés au ciel et tu as

ტჳლთა გზაჲ გამოუქმენ აღსლვად ზეცად სამეუფოსა მას სადგურსა მაღალთა-შინა :

შენ ხარ. რომელმან უსწარ მოციქულთა ყოველთა აღსრულებად ბრძანებათა მათ ოჳფლისათა. რომელმან თქუა ვითარმედ « რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა და მოსლვად. უვარნ ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე » :

რაჲმეთუ შემდგომად ჯუარცუმისა და აღდგომისა და წმიდისა ზეცად ამაღლებისა არღარა განაგრძვე. არამედ მჴურვალებამან სიყუარულისა შენისამან მისა მიმართ და სურვილმან მოსწრაფედ აღგიტაცა წინაშე მისსა. რომელმანცა პირველად მოწამებისა მადლითა შეგამკო შენ, ნეტარეულო :

ვინ-მე არა უგალობდეს მაგჳრგჳნოსნებელსა შენსა ქრისტესა? ვინ-მე არა ჰნატრიდეს სიწმიდესა მაგას შენსა და სიმდაბლესა და სიმშჳდესა. რომელ ესოდენ ემსგავსე ოჳფალსა შენსა. რაჲმეთუ მკლველთა შენთა-თჳს ილოცევდი შენდობასა და მოტევებასა უგუნურად მოქმედებისა მათისა-თჳს :

სტეფანე სანატრელო, არქიდიაკონო ჭეშმარიტო, უმანკო ტრედო. რომელი
* 28 r. ნათესავთა შენთა-მიერ შეიწირე ჯუარცუ*მულისა მის ქრისტჱს-თჳს : ნან-
დჳლვე ტრედო სიონისაო. რომელი მარადის მკჳდრ ხარ მას-შინა. რაჲმეთუ არა არს ჩუეულებაჲ ტრედისაჲ. ვითარმცა უცხოთა საყოფელთა გინა თუ სხუათა-თანა მფრინველთა დაადგრა :

ouvert la voie à tous les martyrs qui te suivent pour qu'ils aillent au ciel qui est le séjour royal *in excelsis*.

Tu es celui qui, devançant tous les apôtres, accomplit les ordres du Seigneur qui dit : « Celui qui veut me suivre et venir à moi, qu'il renonce à soi-même, qu'il porte sa croix et qu'il me suive ».

Car tu n'es pas resté le même après le crucifiement, la résurrection et l'ascension, au ciel et l'ardeur de ton amour pour Lui et ton désir t'entraînaient vers Lui, vers Celui qui t'avait rempli de sa grâce avant ton martyr, ô bienheureux!

Qui est-ce qui ne célèbre le Christ qui t'a couronné? Qui est-ce qui n'envie pas ta sainteté, humilité et modestie, ces vertus qui te sont propres, toi qui es devenu tellement semblable à ton Seigneur que tu priais pour tes assassins qu'Il leur pardonne et absolve leur conduite irraisonnable.

O Étienne bienheureux, archidiacre vrai, colombe irréprochable, qui as été, par ta race, sacrifié à cause du Christ crucifié; colombe réelle de Sion qui y es toujours domiciliée, c'est l'habitude de la colombe de séjourner aux demeures étrangères ou avec d'autres oiseaux.

ეგრეცა შენ, ნეტრეულო, სიმაღლითა ფრთეთა შენთაჲთა და სულითა აღისწრაფე ზეცად წინაშე ღმრთისა. რომელმანცა შეგიყვანა შენ მრავალსავანესა მას სახლსა მამისა თჳსისასა : ხოლო წმიდაჲ ეგე გუამი არა ინებე ყოფად საყოფელთა უცხოთა არცა უცხოთა შოვრის მოსაგრეთა. არამედ მუნვე მოაქციე სიონდ შუენიერსა მას ტაძარსა ღმრთისასა, სამოციქულოსა. რომლისანი უყუარან ოჳფალსა ბჭენი მისნი უფროჲს ყოველთა მათ საყოფელთა იაკობისთა :

სადა იგი სურვიელად მეძიებელნი წმიდათა ნაწილთა შენთანი მიემთხუევიან კურნებასა და წყალობასა ქრისტჱს ღმრთისა-გან. რომელმანცა დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან გყო შენ : ზესკნელთა ანგელოზთა ძალნი განაკჳრვენ. თჳსისა მსგავსისა ხატისა გიხილეს რაჲ აღმავალი სულითა წინაშე ოჳფლისა. მოგეებებოდეს და სიხარულით შეგიწყნარეს საყოფელთა მათთა პატიოსანთა :

მარტჳლობასა შენსა უხარის შენ-ზედა სავლეს. რომელ არს პავლჱ მტყუენველი ეკლესიათაჲ და მდევარი ქრისტჱსი. რომელი იგი ოდეს-მე მოძღუარი შენდაცა მოსჱს-მიერითა შჯულითა. ხოლო მარტჳრობასა მას შენსა თანაზიარცა მკლველთა მათ შენთა :

არამედ არა უწყოდა. რაჲმეთუ მეოხად მისა მიგავლინა შენ * უპირატჱს * 28 v
ქრისტჱს მიმართ. ამის-თჳსცა მცირედთა დღეთა მარტჳრობისა შენისათა რიცხჳ იგი მოციქულებისა შენისაჲ ამან აღავსო და იქმნა იგი ქადაგ ქრისტჱსა

De même toi, bienheureux, tu t'es empressé par l'envergure de tes ailes et par ton âme au ciel, au-devant du Dieu qui t'introduisit dans la maison de son Père où il y a de nombreuses demeures. Quant à ton saint corps, tu n'as pas voulu qu'il restât dans des demeures étrangères, ni au milieu de compagnons étrangers, mais tu l'as retourné à Sion, beau temple apostolique de Dieu, dont la porte est agréable au Seigneur plus que ne le sont toutes les demeures de Jacob.

C'est là que les zélés ardents à chercher tes saintes reliques reçoivent la guérison et la grâce du Christ Dieu, lequel t'a couronné de gloire et d'honneurs. Tu as étonné les armées des anges célestes; te voyant semblable à leur image monter avec âme près du Seigneur, ils sont venus à ta rencontre et ils t'ont accueilli dans leurs honorables demeures.

De ton martyre (à cause de toi) Saul se réjouit, c'est Paul, persécuteur du Christ, lui qui tenait les églises en captivité, qui était autrefois ton maître dans la loi mosaïque, et de plus c'est lui aussi qui prend avec tes meurtriers part à ton martyre.

Cependant Saul ne savait pas qu'il t'envoyait d'avance près du Christ comme son intercesseur. C'est pourquoi il a complété le nombre de ton martyre pendant ta mission de courte durée et est devenu prédicateur de la

მას ღმრთეებასა და მოღუაწე და განმგებელ ეკლესიათა. და მობაძავ მოწამებისა შენისაჲ და მსგავსთა შენთა მაქებელად გამოჩნდა სახარებითა მით ოჳფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსითა :

შენ, სიქადულო ქრისტჱს-მიერ მოქადულთაო. ეკლესიათა გჳრგჳნო ქრის-ტჱს-თჳს. ღუაწლთა-შინა მყოფთა შემწეო. მართლმადიდებელთა მოძღუარო. უძლეველო სიბრძნითა. სავსეო მადლითა სულისა წმიდისაჲთა. შენითა გჳრ-გჳნოსნებითა მოციქულნი იქადიან. მოწამენი იხარებენ. მორწმუნენი იშუებენ. მოღუაწენი განმრავლდებიან. წინაჲსწარმეტყუელნი შენ-ზედა განსრულებულ არიან :

ეკლესიაჲ წმიდათა-გან ნაწილთა შენთა განათლდების და დღითი დღედ მოწამეთა საფუძველ ექმენ. მღდელნი და დიაკონნი და ყოველი ერი ქრისტჱს მორწმუნჱ ჴსენებასა შენსა ვდღესასწაულობთ და შეუვრდომებით შენსა სიწმი-დის მოყუარობასა :

სტეფანე, ითხოვე ქრისტჱს მაცხოვრისა ღმრთისა-გან დაცვად ჩუენდა უძლეველი შენი სარწმუნოვებაჲ და ჴსნაჲ ყოველთა-გან განსაცდელთა ამის სოფლისათა და უბრალონი წარდგომად წინაშე საყდართა ოჳფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსთა. რომელსა ჰშუენის დიდებაჲ და პატივი მამისა-თანა სულით
* 29 r. წმიდით-ურთ* აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამჱნ :

divinité du Christ, il combattait pour les églises et les dirigeait, il se manifesta imitateur de ton martyre et panégyriste de tes semblables, prêchant l'évangile de Notre-Seigneur Jésus-Christ.

O toi, gloire de ceux qui se glorifient par le Christ, couronne des églises pour le Christ, assistance de ceux qui luttent, maître des orthodoxes, invincible par sagesse, plein de la grâce de l'Esprit Saint, c'est à cause de ton couronnement que les apôtres sont glorifiés, les martyrs se réjouissent, les croyants s'égaient, les combattants se multiplient et les prophètes voient accomplir leurs prophéties par toi.

L'église s'éclaire de tes saintes reliques et de jour en jour tu es devenu le fondement des martyrs, et nous, prêtres, diacres et tout le peuple croyant dans le Christ, nous célébrons ton souvenir et recourons à ton amour de sainteté.

Prie, Étienne, le Christ notre Dieu que nous gardions ta foi invincible et soyons délivrés de toutes les tentations de ce monde et que les innocents se présentent devant le trône de Jésus-Christ Notre-Seigneur, à qui avec son Père et l'Esprit-Saint conviennent la gloire et les honneurs maintenant et toujours et de siècle en siècle. Amen.

ზ თთუესა : დეკენბერსა. კჱ. ჴსენებაჲ : წმიდათა : მოციქულთა : პეტრჱსი : და პავლჱსი : ჰრომეს : შინა : ოჳწინარჱს : რვისა : დღისა : ვარდობისა : წამებაჲ : პეტრჱსი :

ხოლო ნეტარი პეტრჱ ჰრომეს-შინა იხარებდა ოჳფლისა მიმართ ძმათა-თანა და ჰმადლობდა იგი ღმერთსა დღჱ და ღამჱ ერისა მის-თჳს მორწმუნისა. რომელნი იგი მოსრულ იყვნეს სახელითა ოჳფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსითა : მოვიდოდა ხარჭებიცა იგი მეფისა აგრიპაჲსი წმიდისა პეტრჱსა სწავლად და სმენად სიტყუათა ღმრთისათა :

ხოლო სახელები მათი ესე არს. აგრიპნა და იკარია და ეფემია და დორის. ამათ ვითარცა ესმეს სიწმიდისა იგი სიტყუანი ქრისტჱსნი პეტრჱს-გან. მეყსეულად მოიქცეს გულნი მათნი ღმრთის-მსახურებად და შეითქუნეს იგინი ურთი-ერთას. რაჲთა შეუგინებელად დაადგრჱნ საწოლისა-გან აგრიპაჲსისა. რაჲმეთუ იძულებოდეს იგინი ფრიად მის-გან :

ხოლო იგინი არა ერჩდეს მას და იურვოდა მათ-თჳს აგრიპა და წუხდა იგი ფრიად უფროჲს მის-თჳს. რაჲმეთუ უყუარდეს ფრიად. მზირნი განაჩინნა და მიავლინნა. რაჲთა უწყოდის « ვიდრე იგი მივიდიან ». და უთხრეს მათ ვითარმედ « პეტრჱსა მივიდიან ».

მოუწოდა მათ და ჰრქუა. « ქრისტიანემან მან გასწავაა არა ზიარებად ჩემდა. ესე უწყოდეთ. რაჲმეთუ თქუენცა წარგწყმიდნე და იგი ცეცხლითა

VII. — Le 28 du mois de décembre. Commémoration des saints apotres Pierre et Paul. Le martyre de Pierre a Rome huit jours avant la fête des Roses.

Cependant le bienheureux Pierre se réjouissait en Dieu à Rome avec ses frères et rendait, le jour et la nuit, grâces à Dieu de ce que le peuple croyant était accouru au nom de notre Seigneur Jésus-Christ. Les concubines du roi Agrippa fréquentaient aussi saint Pierre pour entendre et apprendre la parole de Dieu.

Et voici les noms de ces femmes : Agrippine, Icaria, Euphémie et Doris. Aussitôt qu'elles eurent entendu de Pierre les paroles saintes du Christ, leurs cœurs retournèrent subitement au service de Dieu et elles tombèrent d'accord de rester hors de la souillure du lit d'Agrippa dont les abus les faisaient beaucoup souffrir.

Toutefois, comme elles ne se soumettaient pas, Agrippa s'inquiétait et s'affligeait d'autant plus qu'il les aimait passionnément. Il désigna des espions et leur donna la mission d'apprendre où elles allaient. Ils lui dirent alors qu'elles allaient chez Pierre.

Les ayant appelées il leur dit : « Ce chrétien vous a appris à ne pas avoir de relations avec moi. Sachez donc que je vous ferai périr vous-mêmes et que

დავწუა » : ხოლო იგინი იტყოდეს ყოვლისავე სატანჯველისა აგრიპიაჲს-მიერისა თავს დებად. გარნა ნუ-ხოლო-მცა შეიბილწებიან იგინი მის-გან და განძლიერდეს იგინი ძალითა ქრისტჱსითა :

ხოლო იყო ვინმე სხუაჲ დედაკაცი ქმნულკეთილი ფრიად ალფიანჱსი
* 29 v. ცოლი მე*გობრისა კეისრისაჲ. რომელსა სახელი ერქუა ქსანთიპე : ვითარცა იხილნა მან სხუანი დედანი მრავალნი პეტრჱსა და იგიცა ალფიანეს ქმარსა თჳსსა განეყენა :

ხოლო იგი მცბიერად ტრფიალებისა მის-თჳს ქსანთიპჱსსა უკჳრდა გონებაჲ მისი. რამეთუ არცაღა ცხედარსა-ზედა უნდა დაწოლაჲ მის-თანა. ხოლო ალფიანჱ ვითარცა მჴეცი განძჳნდა და უნდა პეტრჱსი ჴელითა თჳსითა გან-ხეთქაჲ :

გულის-ხმა ყო. რამეთუ მის-გან იქმნა განყენებაჲ ცოლისა მისისაჲ მის-გან : და სხუანიცა დედანი დიდდიდნი აღიძრნეს სიტყჳსა მის-თჳს წმიდისა. რომელი ესმოდა წმიდისა პეტრჱს-გან. და ქმართა განეყენებოდეს და ცოლნი ქმართა-გან განეშორებოდეს საწოლთა-გან მისთა. და უნდა სიწმიდით დადგრომაჲ მათი და ღმრთის-მსახურებით ცხორებაჲ მათი :

მას ჟამსა იყო შფოთი დიდი ჰრომეს-შინა. და ალფიანეცა აუწყა თავისა თჳსისაჲ აგრიპას : მივიდა და ჰრქუა. « ანუ შენ, აგრიპა, შური მომაგე მე მის კაცისაჲ. რომელმან იგი განმაყენა ჩემ-გან ცოლი ჩემი. უკუეთუ არა. შური ვიძიო თავით ჩემით მის-ზედა » :

je le brûlerai ». Or elles préférèrent supporter de la part d'Agrippa tous les tourments plutôt que de souffrir de lui aucune souillure et elles devinrent fortes par la puissance du Christ.

Cependant il y avait une autre femme bien faite, épouse d'Alphian, ami de l'empereur, laquelle s'appelait Xanthippe. Quand elle vit chez Pierre beaucoup d'autres femmes, elle se sépara, elle aussi, de son mari Alphian.

Alphian était étonné de l'amour perfide de Xanthippe, de son dessein, car elle ne voulait même pas se mettre avec lui au lit. Alphian, devenu furieux comme une bête sauvage, voulait déchirer Pierre de ses propres mains.

Il comprit très bien que c'était à cause de Pierre que sa femme s'était séparée de lui. D'autres nobles matrones, de même mues par des paroles saintes qu'elles entendaient de saint Pierre, se séparaient, elles aussi, de leurs maris. Les épouses s'éloignaient du lit de leurs maris, voulaient persévérer dans leur sainteté et vivre leur vie pieusement.

Alors Rome s'alarma et Alphian informa lui aussi Agrippa de son affaire. Il alla le trouver et lui dit : « Venge l'injure que m'a causée cet homme, en séparant ma femme de moi, sinon je me vengerai moi-même ».

მიუგო აგრიპა და ჰრქუა. « მე ეგე ვნებაჲ შემემთხჳა მის კაცისა-გან. ალფიანო ». და ჰრქუა « და რად უდებ გიყოფიეს შენ, აგრიპა. არამედ შევიპყრათ იგი ვითარცა ძჳრის-მოქმედი და მოვკლათ იგი. რაჲთა ცოლნი ჩუენნი ჩუენ-თანა იყვნენ. და რაჲთა მათცა შური მოვაგოთ. რომელნი იგი ვერ შემძლებელ არიან თავით თჳსით შურის-გებად. რომელთა იგი მანვე განაშორ*ნა ცოლნი მათნი » : * 30 r.

და იგინი ვითარ ამას განიზრახვიდეს. აგრძნა ქსანთიპე ქმრისა თჳსისა იგი ზრახვაჲ აგრიპაჲს მიმართ. მიუვლინა და აუწყა პეტრეს. რაჲთა განვიდეს იგი ჰრომჱთ. და მის-თანა სხუანიცა ძმანი ევედრებოდეს მარკელჱს-თანა და ეტყოდეს. რაჲთამცა განვიდა იგი ჰრომე ქალაქით. ხოლო პეტრე ჰრქუა. « აწ უკუე ვივლტოდით-მეა, ნუ იყოფინ ეგე » :

ხოლო იგინი ეტყოდეს. « არა ეგრჱ. არამედ ძალღა გიც მსახურებად ოჳფლისა ». ხოლო იგი ერჩდა სიტყუასა მას ძმათასა და განვიდა იგი ჰრომე ქალაქით მარტოჲ და ჰრქუა მათ. « ნუ ვინ თქუენ-განი გამოვალნ ჩემ-თანა, არამედ მე ხოლო მარტოჲ განვიდე და შევცვალო ხატი სამოსლისა ჩემისაჲ » :

და ვითარცა განვიდოდა პეტრჱ ბჭეთა ქალაქისა ჰრომისათა. იხილა ოჳფალი შემომავალი ჰრომედ : და პეტრე ვითარცა იხილა ოჳფალი და ჰრქუა მას. « აქა ვიდრე ხუალ, ოჳფალო »? ხოლო ოჳფალმან ჰრქუა მას. « შევალ ჰრომედ ქალაქად ჯუარცუმად » : ხოლო პეტრე მიუგო და ჰრქუა. « კუალად ჯუარს

Agrippa lui répondit : « Je suis atteint du même mal du fait de cet homme, ô Alphian. — « Pourquoi négliges-tu ce cas, ô Agrippa? reprit Alphian. Saisissons-le donc comme un malfaiteur et tuons-le, afin que nos femmes restent chez nous et que nous devenions les vengeurs de ceux qui ne sont pas en état de se venger eux-mêmes et dont les femmes ont été séparées, elles aussi, par cet homme ».

Tandis qu'ils délibéraient de la sorte, ayant entendu le conseil donné par son mari à Agrippa, Xanthippe envoya un avertissement à Pierre pour qu'il sortît de Rome; en même temps d'autres frères avec Marcel le priaient de sortir de la ville de Rome. Or, Pierre dit : « Que je fuie à l'instant? Jamais : ce ne sera pas ». — « Mais non, disaient-ils, ce n'est pas cela. Tu es encore en état de servir Dieu ». Il se soumit donc à leur parole et sortit seul de la ville de Rome, leur disant : « Que personne de vous ne sorte avec moi. Je sortirai seul en changeant la forme de mon habillement ».

Et comme Pierre passait la porte de la ville de Rome, il vit le Seigneur entrer lui-même dans la ville. Aussitôt qu'il vit le Seigneur, Pierre lui dit : « Où vas-tu, Seigneur? » Le Seigneur lui répondit : « J'entre dans la ville de Rome pour être crucifié ». Pierre lui répondit en disant : « Est-ce que tu vas,

ეცუმია, ოჳფალო ჩემო »? და გონებასა თჳსსა მოეგო პეტრჱ და იხილა ოჳფალი ზეცად აღმავალი და მოიქცა პეტრჱ მეუნქუესვე ჰრომედ. უხაროდა და ადიდებდა ღმერთსა. რამეთუ იხილა ოჳფალი და ჰრქუა მას. « მეორედ ჯუარს ეცუმია, ოჳფალო »?

აღმოვიდა ძმათა მათ და უთხრა ყოველი. რაჲცა იგი იხილა და ესმა : ხოლო იგინი იგლოვდეს და ზრუნვიდეს გულითა მათითა. ტიროდეს და
* 30 v. იტყოდეს. « გევედრებით შენ, ოჳფალო ჩუენო * პეტრე. ჩუენ ახალ ნერგთა-თჳს იზრუნე ».

ხოლო პეტრე ჰრქუა მათ. « უკუეთუ იყოს ნებაჲ ოჳფლისაჲ. დაღათუ ჩუენ არა ვიზრუნოთ თქუენ-თჳს. შემძლებელ არს ოჳფალი დამტკიცებად თქუენდა სარწმუნოებასა მისსა-ზედა და საფუძველსა ზედა დამკჳდრებად. რომელნი იგი მან თავადმან დაჰნერგნა. და თქუენცა დაჰნერგევდით ურთიერთას !

« რამეთუ მე ნებითა ოჳფლისაჲთა ვიყავ თქუენ-თანა ჴორცითა და არა უდებ ვიყავ და აწ ნებითა მისითა მივალ ოჳფლისა ჩემისა სიხარულითა და მხიარულებითა ».

ვითარცა ამას ეტყოდეს პეტრჱ. ძმანი იგი ყოველნი ტიროდეს ფრიად : მოიწინეს ოთხნი მტარვალნი და შეიპყრეს წმიდაჲ პეტრჱ და მიიყვანეს აგრიპა მეფისა გულის-კლებისა-თჳს მისისა :

mon Seigneur, te faire crucifier de nouveau »? Revenu à lui-même, Pierre vit le Seigneur monter au ciel et il retourna tout de suite à Rome. Il se réjouissait et glorifiait Dieu, parce qu'il avait vu le Seigneur et lui avait demandé : « Est-ce que tu vas, Seigneur, te faire crucifier une seconde fois »?

Il monta chez ses frères et leur raconta tout ce qu'il avait vu et entendu. Or, les frères attristés s'inquiétaient dans leurs cœurs, pleuraient et disaient : « Nous te prions, notre seigneur Pierre, de prendre soin de nous qui sommes une jeune pépinière ».

Et Pierre leur dit : « Puisque c'est la volonté du Seigneur, le Seigneur peut, si même nous ne prenons aucun soin de vous, vous affermir dans sa foi et vous établir sur la base, plantation qu'il avait faite lui-même; et vous-mêmes édifiez-vous les uns les autres, affermis sur la même base.

« Car, par la volonté du Seigneur, je restais avec vous corporellement et je n'ai pas négligé mes devoirs ; maintenant, par sa volonté, je m'en vais réjoui et gai à mon Seigneur ».

Tandis que Pierre disait ces mots et que ses frères pleuraient de désespoir, quatre bourreaux vinrent, se saisirent de saint Pierre et le menèrent auprès d'Agrippa à cause de son mécontentement.

ხოლო აგრიპა მეფჱ დიდსა ბრალსა დასდებდა პეტრეს და ბრძანა მისი ჯუარცუმაჲ : და შეკრბა სიმრავლჱ ძმათაჲ მდიდართაჲ და გლახაკთაჲ. ობოლნი და ქურივნი. მამანი და დედანი. უნდა ხილვაჲ და მოტაცებაჲ წმიდისა პეტრჱსი.

ხოლო ერი იგი ღაღადებდა და ეტყოდა. « რაჲ ცოდა პეტრე, აგრიპა, ანუ რაჲ ბოროტი შეგამთხჳა შენ? წყლულხარ სხჳთა სიტყჳთა. უკუეთუ ესე მოკუდეს. გუეშინის. ნუ უკუე ქრისტემან ჩუენ ყოველნი წარგუწყმიდნეს » : ხოლო პეტრჱ შევიდა შორის მათსა და დაამშჳდა ერი იგი :

და ჰრქუა. « კაცნო. რომელნი განწესებულ ხართ ოჳფლისა ჩუენისა ერად. კაცნო. რომელნი ესე იესოჳს ქრისტჱს მოსავნი ხართ. * გეჴსენედ თქუენ. * 31 r. რომელნი იგი სასწაულნი იხილენით ჩემ-გან. გეჴსენედ თქუენ ყოველნი ძლიერებანი ოჳფლისანი. რავდენნი კურნებანნი ქმნნა ჩემ-მიერ იესოჳ ქრისტემან. დაუთმეთ მას. რამეთუ მოვალს იგი და მიაგოს კაცად კაცადსა საქმეთა მათთა-ებრ.

და აწ აგრიპაჲს-თჳს ნუ განჰრისხნებით. რამეთუ მსახური არს მამისა თჳსისა შემწეობისაჲ. ხოლო ესე იქმნეს ჩემ-ზედა. რამეთუ ოჳფალი ჩემი გამომეცხადა მე და რაჲ ესე შემთხუევად იყო ჩემდა. მითხრა მე. არამედ რაჲ გეგულების შენ, აგრიპა, იქმოდე. ანუ რაჲსა მიგყავ შენ ჯუარცუმად » :

და ვითარცა მიიყვანეს იგი ჯუარსა მას. იწყო ლოცვად და სიტყუად. « ჵ

Or, Agrippa imputait à Pierre un grand délit et il ordonna de le crucifier. Il se forma une réunion nombreuse des frères riches et pauvres : c'étaient les orphelins et les veufs, hommes et femmes, et ils voulaient voir saint Pierre et le ravir.

En attendant, le peuple criait et disait : « Quel péché a commis Pierre ou quel mal t'a-t-il causé, ô Agrippa ? Tu es blessé d'une autre chose. S'il meurt, nous craignons que le Christ ne nous extermine tous ». Or, Pierre entra au milieu d'eux et les calma en leur disant :

« Hommes qui êtes désignés pour être le peuple de Notre-Seigneur ! Vous, hommes, dont l'espérance est Jésus-Christ, rappelez-vous complètement quels miracles vous avez vus de moi ! Rappelez-vous complètement les puissances du Seigneur, combien de guérisons a accomplies Jésus-Christ par moi. Laissez-le, car Il viendra et récompensera chacun selon ses œuvres.

« Or, ne vous fâchez pas à cause d'Agrippa, car il est le serviteur de son père, il l'aide, mais voici ce que j'ai à supporter, parce que mon Seigneur se révéla à moi et me dit ce qui allait m'arriver. Fais donc, Agrippa, ce que tu as au cœur ou à quoi tu me mènes : c'est ma crucifixion ».

Et aussitôt qu'on l'amena à la croix, il se mit à prier et à parler : « O nom

სახელი ჯუარისაჲ საიდუმლოჲ და ფარული. ჵ მადლი გამოუთქუმელი სახელითა ჯუარისაჲთა ქმნული. ჵ რაჲმეთუ ბუნებაჲ კაცისაჲ. რომელი განშორებად ვერ შემძლებელ არს ღმრთისა :

გაიძულებ შენ. აღსასრულსა განსუენებისასა რომელი მიწევნულ ხარ. რომელი გამოცხადებად არა დავიდუმო. სული იგი მაწუევს საშუმინველისა ჩემისაჲ დაფარულსა მას საიდუმლოსა ჯუარისასა :

ხოლო ჯუარი ესე ნუ ეგრე გგონიეს. რომელი ჩანს ვითარცა შეურაცხი. და უფროჲსღა რაჟამს ძალი გიც სმენად. რომელნი ეგე შემძლებელნი ხართ. რაჲმეთუ უკუანაჲსკნელთა ჟამთა ვარ მე დასასრულსა :

მნებავს თქუენდა მიმართ თქუმად სიტყუათა მათ. ცხორებისათა. ისმინეთ
* 31 v. ძმანო და ყოველთა სასმენელთა დაიტიენით. * თქუენ ყოველთა სულნი განიწმიდენით გუამისა-გან. რომელი ჰგიეს ჭეშმარიტად. განაშორეთ სიბრმისა-გან პირნი თქუენნი და სასმენელნი თქუენნი საჩინოდ მომიპყრენით. და საჩინონი ეგე განჰმარტენით და ცანით თქუენ ქრისტჱს-მიერი ყოფილი და ცხორებისა თქუენისა საიდუმლოჲ :

ჟამი არს, პეტრე, მიცემად შენდა ჴორცთა შენთა ერისა-განთა მათ. ვითარცა არს ჩუეულებაჲ მათი ». შევიდა წმიდაჲ პეტრჱ ჯუარცუმად და იტყოდა.

de la croix mystérieuse et cachée! O grâce ineffable faite au nom de la croix! O nature donc de l'homme, lequel ne peut s'éloigner de Dieu!

« Je te force, toi qui es arrivé à l'approche du repos éternel, d'entendre ce que je ne cesserai pas de révéler. L'esprit de mon souffle m'appelle au mystère caché de la croix.

« Or, ne croyez pas la croix telle qu'elle paraît déshonorée, et ne le croyez pas surtout au moment où vous avez la force d'entendre, vous qui êtes capables d'agir, car je me trouve à l'issue de la dernière heure.

« Je veux vous dire les paroles de vie. Écoutez, frères, et recueillez-les tous dans vos organes d'entendement. Vous tous, purifiez vos âmes par le corps[1] qui subsiste vraiment. Éloignez vos visages de la cécité et tournez ouvertement vos organes d'entendement vers moi, commentez ce qui est visible et reconnaissez ce qui est fait par le Christ et le mystère de votre vie.

« Eh bien pour toi, Pierre, le temps est arrivé de remettre ton corps aux mains de ces guerriers, c'est leur métier ». Saint Pierre entra (au milieu d'eux) pour être crucifié et il dit : « Je vous prie, vous, guerriers, de me cru-

1. Le texte géorgien par sa leçon vulgaire გუამისა-გან au lieu de celle classique გუამისა მიერ peut donner lieu à un malentendu si on ne se rapporte pas à la définition du terme 'corps' laquelle suit immédiatement, et on pourrait alors traduire le passage ainsi : « Purifiez vos âmes du corps », c'est-à-dire « du corporel ».

« გლოცავ თქუენ, ერისა-განთა მაგათ. ესრჱთ ჯუარს მაცუთ მე თავდამოქცევით და ნუ სხუად. რაჲთა არა მსგავს ვიყო ოჳფლისა ჩემისა » :

და ვითარ დამოჳკიდეს იგი ძელსა. იწყო სიტყუად და თქუა. « კაცნო. რომელთა ეგე ჯერ არს. ყურად იღეთ უფროჲსღა რომელი ესე აწ გითხარ თქუენ ყოვლისა ბუნებისა საიდუმლოჲ იგი : და ყოვლისა დაბადებულისა დასაბამი პირველი იგი. რომელი იქმნა. რაჲმეთუ პირველი იგი კაცი. რომელი იქმნა ხატად. თავად მოქცევით დამოეკიდა : ამან აჩინა არა არსი იგი შობაჲ მაშინდელი იგი. რაჲმეთუ მკუდარ იყო ესე. არცაღა ძრვაჲ ჳქონდა. გარდამოვარდა იგი. დასაბამი მისი ქუეყანად მიაქცია : და ყოველივე ესე სამკაულებისა ხილვაჲ გამოაჩინა. დამოჳკიდა. რომელთა მარცხენჱ იგი აჩუენა ვითარცა მარჯუენჱ და მარჯუენჱ ვითარცა მარცხენჱ :

და ყოველი ცვალა ბუნებისა მისისა სასწაულები. და რაჲთა კეთილი იგი
არა კეთილი გეგონოს და საზიერი იგი ვითარცა ბოროტი და ბოროტი იგი
ვითარცა საზიერი. რომლისა-თჳსცა ოჳფალი სა * იდუმლოდ იტყჳს. « უკუეთუ * 32 r.
არა ჳყოთ მარჯუენჱ ვითარცა მარცხენჱ და ზედაჲ ვითარცა ქუემოჲ. ვერ სცნათ
თქუენ სასუფეველი ღმრთისაჲ ».

ესე გონებაჲ ჩემდამო ქმნა და ხატი ესე. რომელსა მხედავთ მე. მისი გამოხატული არს პირველისაჲ მის. პირველად შემოიღო შობაჲ კაცისაჲ :

cifier de la sorte, la tête tournée en bas et non d'une autre manière, pour que je ne sois pas comparable à mon Seigneur ».

Et quand on l'eut suspendu à l'arbre, il commença à parler et il dit : « Hommes, ceux à qui cela convient, prêtez les oreilles, surtout à ce que je viens de vous dire, c'est le mystère de toute la nature. Et le commencement de toute création, c'est le premier qui a été créé; or le premier homme qui a été créé à l'image (de Dieu), fut pendu la tête tournée en bas. C'est ce qui a révélé le non-être de la création d'alors, car elle était morte, elle n'avait certes aucun mouvement, elle tomba, elle transforma son commencement en poussière, dévoila tout ce spectacle de l'univers, et le renversa; il montra sa gauche comme la droite et sa droite comme la gauche.

« Et il changea tous les signes de la nature afin que le bon ne t'apparaisse pas bon, que le bon t'apparaisse comme le mal et le mal comme le bon, et voilà pourquoi le Seigneur dit mystérieusement : « Si vous ne faites pas la « droite comme la gauche et le dessus comme le dessous, vous ne connaîtrez « pas le royaume de Dieu ».

« Ces pensées, c'est Lui qui me les a faites, et cette image telle que vous me voyez a été dessinée par Lui, c'est celle du premier homme. Il a premièrement introduit la création de l'homme. Et vous, mes frères bien-aimés, et

ხოლო თქუენ, ძმანო ჩემნო საყუარელნო და რომელთა-მე მერმე სმენად არს და რომელთა ეგე პირველ თავს გედვა საცთური. მერმე გღირს ზემო აღსლვაჲ :

რამეთუ ჯერ არს. რომელნი მოველით ჯუარსა ქრისტჱსსა. რომელი იგი განწესებული არს სიტყუაჲ ერთ და მხოლოჲ. რომლისა-თჳს სული წმიდაჲ იტყჳს. ვითარმედ « რაჲ არს ქრისტჱ. არამედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ ». ანუ ესე ჩემსა ზე ძელი. რომელსა მე ჯუარცუმულ ვარ. რამეთუ ოხრაჲ არს ქცეული ბუნებაჲ კაცისაჲ : ხოლო სამშჭუალსა რომელსა შეპყრობილ არს მართალსა ძელსა გრძილი იგი საშოვალ. მოქცევაჲ არს და სინანულ კაცისა :

ესე შენ მაუწყე და გამომიცხადე, სიტყუაო ცხოვრებისაო. ესე ძელი. რომელი ჩემ-მიერ ითქუმის. გმადლობ შენ, მხოლოო, არა ბაგითა ამით საწუთროჲთა. არცა ენითა ამით. რომლითა ჭეშმარიტებაჲ და სიცრუვჱ გამოვალს. არცა სიტყჳთა ამით. რომელი ჴელოვნებითა ამის სოფლისაჲთა ითქუმის :

არამედ მით ჴმითა გმადლობ შენ, მეუფეო საუკუნეო. რომელი იგი დუმილით საცნაურ არს. რომელი იგი არა ჭურითა ჴორცთაჲთა კრწნილებისა მოქმედისაჲთა არს. რომელი არა ჴორციელთა სასმენელთა მიიწევის. რომელი არა
* 32 v. ბუნებასა მას განრყუნადსა ესმის : რომელი * არა ამას სოფელსა არს და ქუეყანასა ამას დატევებად არს. არცა წიგნსა დაწერითა. არცაღა რომლითა-მე არა არსითა. არამედ ამით ჴმითა გმადლობ შენ, ოჳფალო იესოჳ ქრისტე მხო-

ceux qui avez à l'entendre dans l'avenir et ceux à qui est premièrement tombé en partage cette épreuve, vous serez ensuite dignes de monter la pente.

« Car c'est de la raison que nous attendons la croix du Christ, désigné Verbe unique et seul, dont l'Esprit-Saint a dit : « Qu'est-ce que le Christ, sinon le Verbe de Dieu » ? ou bien l'arbre au-dessus de moi, sur lequel je suis crucifié, parce que le gémissement, c'est la nature renversée de l'Homme. Or, le clou du milieu, lequel tient le corps droit à l'arbre, c'est la conversion de l'homme et sa pénitence.

« C'est toi, Verbe de la vie qui m'as enseigné et révélé cet arbre, sujet de mon discours. Je te remercie. Toi, unique, non de cette bouche de ce bas monde passager, non de cette langue, d'où vient et la vérité et le mensonge, non de ce mot qui est composé par l'art de ce monde.

« Non, je te remercie, Toi, Roi éternel, par la voix qui est reconnaissable à son silence, qui agit non par un organe matériel sujet à la corruption, qui atteint non l'ouïe corporelle, qui subsiste non dans ce monde, incapable de la contenir, de même ce n'est pas par inscription dans un livre, ni par quoi que ce soit d'irréel que je Te remercie, mais je Te remercie Toi, Seigneur Jésus-

ლოო. რომელ არს შენი რომელ ესე ჩემ-თანა სული არს შენი მოყუარჱ. შენი მეტყუელი. შეგივრდები შენ. რომელი ეგე მარტოდ ხოლო სულითა საცნაურ ხარ :

შენ ხარ მამაჲ ჩემი. შენ ხარ დედაჲ ჩემი. შენ ხარ ძმაჲ ჩემი შენ ხარ მოღუაწჱ ჩემი. შენ ხარ ყოვლად და ყოველი იგი არს შენ შორის. და არა არს სხუა არსება. რომელ ესე არს გარნა შენ ხოლო :

ამისა, ძმანო ჩემნო, მიივლტოდეთ. ამის მხოლოჲსა მიმართ არსებაჲ იგი ისწავეთ : მათ ითხოვდით. რომელთაჲ იგი იტყჳს მოცემად თქუენდა. რომელი იგი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუკდა. რომელი იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა :

გევედრები შენ, ქრისტე მხოლოო. რომელთა-თჳს იგი აღმითქუ მე მოცემად. და გმადლობ შენ და აღგიარებ. და შენ გადიდებთ. რამეთუ შენ ხარ მხოლოჲ ოჳფალი და არა არს სხუაჲ შენსა გარეშე. და შენი არს დიდებაჲ ოჳკუნითი ოჳკუნისამდე. ამჱნ » :

და ვითარცა სიმრავლემან ერისამან წინაშე მდგომარემან დიდითა ოხრითა ამჱნი თქუეს. მის-თანა მისცა სული თჳსი ოჳფალსა სამგზის სანატრელმან პეტრე დამშჭუალულმან ჯუარსა-ზედა :

ხოლო მარკელეოზ არღა უკუნიკითხა აგრიპას გინა სხუასა ვის. რომლისაჲ არა ჯერ იყო : ვითარცა იხილა. რამეთუ წმიდაჲ პეტრჱ განისუენა. თჳსითა

Christ unique, par cette voix qui est la tienne, cet esprit subsistant en moi qui t'aime et qui prêche en ton nom. Je recours à Toi, qui n'es reconnaissable uniquement que par esprit.

« Tu es mon Père, tu es ma Mère, tu es mon Frère, tu es mon combattant, tu es tout et le tout se trouve en Toi, et il n'y a aucun être, qui existe sauf Toi.

« Élancez-vous vers Lui, mes frères! Apprenez à vous diriger vers Lui seul! Demandez-Lui les choses qu'Il promet de vous donner, ce que les yeux n'ont pas vu et les oreilles n'ont pas entendu, ce qui n'a pas atteint le cœur humain et ce que Dieu a préparé à ceux qui l'aiment.

« Je Te prie, Christ unique, de m'accorder ce que Tu m'as promis. Je Te remercie, je Te confesse et je Te glorifie, car Tu es Seigneur unique et il n'y en a pas d'autre sauf Toi, et c'est à Toi qu'appartient la gloire de siècle en siècle. Amen ».

Et aussitôt que le peuple nombreux qui était présent répondit : « Amen! » avec un profond soupir, le trois fois bienheureux Pierre crucifié rendit son âme au Seigneur.

Cependant, Marcel ne crut pas devoir revenir sur le même sujet auprès d'Agrippa ou auprès d'un autre à qui il ne convenait pas. Aussitôt qu'il vit

* 33 r. ჴელითა გარდამოჰ*ჴსნა იგი ჯუარისა მის-გან და სძითა და ღჳნითა განბანა იგი. და მღგალა ერგასისი ლიტრაჲ მური და ალოჲ. და ფურცელი სულნელი სხუაჲ ერგასისი ლიტრაჲ. და შემურნა ჴორცნი იგი წმიდისა პეტრჱსნი და აღავსო ლუსკუმაჲ თაფლითა რჩეულითა და თჳსსა საფლავსა შთადვა იგი :

ხოლო ნეტარი პეტრჱ დაადგრა მას ღამე ჩუენებით და ჰრქუა მას. « მარკელე. არა გესმაა ოჳფლისა იგი სიტყუაჲ « აცადენით მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა »? ხოლო მარკელეოზ მიუგო და ჰრქუა. « ჰე ოჳფალო. მასმიეს » :

მაშინ პეტრე მიუგო და ჰრქუა მას. « იგი რომელ რაჲ გაქუნდა. მკუდარსა თანა წარსწყმიდე. რაჲმეთუ შენ ცხოველმან ვითარცა მკუდარმან მკუდარნი იღუაწენ » :

ხოლო მარკელეოზ განიღჳძა და უთხრა ძმათა გამოცხადებაჲ ესე ყოველი. რომელი გამოუცხადა მას წმიდამან პეტრე ყოველთა მათ ძმათა. რომელნი მტკიცე იყვნეს სარწმუნოებასა მას-ზედა პეტრჱს-მიერ ოჳფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსა და მტკიცედ დგეს ყოველნი : და პავლჱსსა მას მოსლვასა ჰრომედ უფროჲს განძლიერდებოდეს მორწმუნენი იგი :

ხოლო ნერონ კეისარმან ვითარცა აგრძნა წმიდისა პეტრჱსი განსლვაჲ ცხოვრებისა-გან. ფრიად აბრალებდა აგრიპას ვითარმედ « რაჲსა უკითხავად იგი მოჰკალთ »? რაჲმეთუ ეგულებოდა უმეტჱსსა სატანჯველსა შეგდებად იგი : რაჲმეთუ წინაშენი ვინ-მე მისნი პეტრე დაიმოწაფნა და განადგინნა

saint Pierre mort, il le descendit de la croix de ses propres mains, le lava avec du lait et du vin il broya de chrême et d'aloès une cinquantaine de litres et autant d'autres feuilles aromatiques, il embauma le corps de saint Pierre, il remplit la châsse de miel vierge (*à la lettre :* d'élite de miel) et le plaça dans son sépulcre.

Or, le bienheureux Pierre lui apparut la même nuit dans une vision et lui dit : « Est-ce que toi, Marcel, tu n'as pas entendu cette parole du Seigneur : « Laissez les morts ensevelir les morts! » Et Marcel lui répondit : « Oui, seigneur, je l'ai bien entendue ».

Alors Pierre lui répliqua : « Ce que tu avais, tu l'as perdu pour le mort, puisque toi, vivant, tu as comme un mort soigné les morts ». Marcel se réveilla et raconta à ses frères, toute la révélation que lui avait faite saint Pierre; il la raconta à tous les frères qui étaient, grâce à Pierre, fermes dans la foi de Notre-Seigneur Jésus-Christ, ils tenaient tous fermement et ces croyants devinrent encore plus fervents à l'arrivée de Paul à Rome.

Or, informé du départ de saint Pierre de cette vie, l'empereur Néron accusa Agrippa en lui disant : « Pourquoi l'avez-vous tué sans jugement? » Car il avait à cœur de le soumettre à des tourments plus forts, attendu que Pierre s'était fait des disciples de quelques personnes de la suite de Néron et

იგინი მის-გან. ამის-თჳს გულწყებულ იყო * ნერონ და მრავალ ჟამ აგრიპას არა ჰზრახჳდა : და ეძიებდა იგი ყოველთა დამოწაფებულთა წმიდისა პეტრჱსთა წარწყმედად : * 33 v.

და ეჩუენა ვინ-მე მას ღამჱ ძილსა-შინა. რომელი სტანჯვიდა მას და ეტყოდა. « ნერონ. ვერ შემძლებელ ხარ აწ დევნად მოწაფეთა ღმრთისათა და წარწყმედად. განაშორენ ჴელნი შენნი მათ-გან! » და მაშინ ნერონ შეშინდა და განეშორა დევნისა-გან მოწაფეთა ოჳფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსთა :

მას ჟამსა ოდენ ოდეს წმიდაჲ პეტრჱ ამის სოფლისა-გან განეშორა. შეკრებულ იყვნეს ყოველნი იგი მორწმუნენი ოჳფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსნი. ერთბამად ადიდებდეს ყოვლად პატიოსანსა და დიდად შუენიერსა სახელსა მამისა ძისა და წმიდისა სულისასა. აწ და მარადის და ოჳკუნითი ოჳკუნისამდე. ამჱნ :

წამებაჲ : წმიდისა : პავლჱ : მოციქულისაჲ : ჰრომს : შინა :

მოელოდა ჰრომს-შინა პავლეს ლუკა გალატიაჲთ. მოსრულ იყო ტიტე დალმატიაჲთ. რომელნი იგი იხილნა პავლე და განიხარა. და გარეშე ჰრომსა საუნჯჱ დაიპყრა. რომელსა-შინა იყოფვოდა ძმათა-თანა. და ასწავებდა ყოველთა სიტყუასა მას ცხოვრებისასა. შეიწყნარებდა და ისტუმრებდა ყოველნი რომელნი მივიდოდეს მისა და განთქუმულ იყო იგი ყოველთა-მიერ ჰრომს-შინა :

il les avait séparés de lui. Voilà pourquoi Néron était mécontent ; pendant longtemps, il ne prit aucun conseil d'Agrippa et cherchait à exterminer tous les disciples de saint Pierre.

